

ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობა იგეგმება [იხ. ვიდეო]

თარიღი: 2018წ, 29 მაისი, დრო: 19:07



ვაკის პარკის ტერიტორიაზე, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული, შესაძლოა 7 სართულიანი სასტუმრო აშენდეს. რეკრეაციულ ზანაში მშენებლობის ნებართვა მერიამ ჯერ კიდევ 2013 წელს გასცა. სასტუმროს მშენებლობა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მოქალაქეებმა არაერთხელ გააპროტესტეს. დავა შპს „ტიფლის კოსტავასა“ და შპს „გრაალის“ წინააღმდეგ ამ დრომდე მიმდინარეობს.



თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს ის გადაწყვეტილება გააუქმა, რომლის მიხედვითაც მერიას ხელახლა დაავალა ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობაზე ნებართვის გაცემის განხილვა. მწვანე ალტერნატივისთვის სასამართლოს გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა. ნინო გუჯარაიძისთვის გაუგებარია თუ რას დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს მოსამართლე. მოდავე მხარე სამართლებრივ ბრძოლას ამჟერად უზენაეს სასამართლოში გეგმავს.